

საქნახშირი

პრესრელიზი

3,5 მილიონი დოლარის ახალი ტექნიკა კომპანია “საქნახშირში”

კომპანია “საქნახშირმა” მეშახტეთა უსაფრთხო შრომისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის 3 მილიონი დოლარის ტექნიკა შეიძინა. ახალი ვაგონები, ბუდლოზერები, ელმავლები კომპანიის ეზოში უკვე დგას ახალი ტექნიკის ნაწილი... შახტის ტექნიკურ გადაიარაღებაზე გაწერილი გრაფიკი საბოლოო ეტაპზე გადავიდა. წლის ბოლომდე ტყიბულში ჩინეთიდან და უკრაინიდან აღჭურვილობის მეორე ნაწილს ელოდებიან. რის შემდეგაც დაიწყება ძველის დემონტაჟი და ახალი ტექნიკის განთავსება. რაც პრაქტიკულად ხსნის შახტებში ბურღვა -ფეთქითი სამუშაოების დროს მეშახტეთა რისკის ქვეშ ყოფნას, ხდება შახტების მექანიზირება რაც უსაფრთხო შრომისა და შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

შახტების მონიტორინგი, მათ გადაიარაღება-აღჭურვაზე აღწერითი სამუშაოები კომპანიამ გასული წელს დაასრულა. გეგმის მიხედვით კი წლის ბოლომდე განახლება- სარებილიტაციო სამუშაოებიც დაიწყება. ტექნიკა რომელიც ამ დროისათვის შეძენილი და ჩამოტანილია 3 მილიონი დოლარის ინვესტიაციას აღემატება. კომპანიისთვის ეს მთავარი პრიორიტეტია და აქ მიაჩნიათ რომ ეს მუდმივი პროცესია. უკვე ადგილზეა შვიდი ერთეული ადგილობრივი განიავების ვენტილიატორი. ოთხი ერთეული საისრე

ელმავლის გადამყვანი კომპლექტი. სამი კომპლექტი ელმავალი, მათი განახლება გასულ წელსაც მოხდა. 6 კომპლექტი ელმავლის ბატარეა.





საქინახშირი

პრესრელიზი

უკვე შექმნილია და ოქტომბერში ჩამოვა გვირაბგამყვანი კომბაინი რომელიც ფეთქით და საბურღ სამუშაოებს ახორცილებს ფუჭ ქანში. ქუთაისში მზადდება ვაგონების მექანიზირებული გადაყვანილობის დანადგარი. უკვე შექმნილია თვითმცლელი მანქანა . 80 ერთეული ახალი ნახშირიმზიდი ვაგონი. შექმნილია ჰაერის ახალი მიმწოდებელი კომპრესორი. შექმნილია 18 ტონიანი ბულდოზერი. მიმდინარეობს შტოლმების რეაბილიტაცია და შექმნილია 270 ტონა რელსი შახტის რკინიგზისათვის. მიმდინარე თვეში ისევ შეივსო სასაწყობე მეურნეობა 400 ერთეული ინდივიდუალური დაცვის საშუალებით, რომელსაც შახტაში მაშველის ფუნქცია აქვს და მეშახტეთა ახალი სანათებით.

კომპანიას მარტო შახტების ტექნიკური განახლება- გადაირალება სამილიონ ნახევარი დოლარი დაუჯდა. საწარმომ სოლიდური თანხა გახარჯა სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოებშიც.

შპს "საქინახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქინახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიძიგურის და მინდელის სახელობის მალაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

შპს "საქინახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი"
თაბუკაშვილის ქ. 13, 4300, ტყიბული
ტელ.: +995 95 74 74 73
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით: 
Georgian Industrial Group Holding

